

1981



პროლეტარები  
უცხალა  
კვებისა,  
ზემოთლით!

საქართველოს

საბჭოთა

სოციალისტური

რესპუბლიკის

№ 12

1981

უმაღლესი საბჭოს

უცხალები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

საქართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უნიკატი

№ 12 (492)

ნოემბერი

1981 წლი

შ ი ნ ა პ რ ს ი

გაცემის დღე პირველი

282. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შედეწელობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საქართველოს შესახებ.
283. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მმ. გ. კ. ლორთვისანის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საქართველოს-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნის შესახებ.
284. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
285. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1692 მუხლის გამოყენების წესის შესახებ.
286. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

### განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**282** საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაცრობოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის პომიტეტის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაცრობოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საქავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო პომიტეტად გარდა-  
მანის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 27 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედა-  
მხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სა-  
ხელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**283** ამ. პ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაცრობოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საქავშირო-რესპუბლიკური სახელმწი-  
ფო პომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამ. გიორგი კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე საქართვე-  
ლოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედვე-

ლობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 5 ნოემბერი.

პრძნებულება საჩართველოს სსრ უმაღლესი საგვრავის პრეზიდიუმისა

**284** საქართველოს სსრ ცისხის სამართლისა და ცისხის სამართლის საპროცესო კოდექსის დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჩევლოს მიღებისა და ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის:

ა) პირებელი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

„იგივე ქმედობა, რასაც მოჰყვა რეინიგზით და სხვა ტრანსპორტით გადაზიდვისას, იგრეთვე მუდმივი და დროებითი შენახვის ადგილებში ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკის განკომპლექტება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე“;

ბ) ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის პირებელი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო წვრილმანი გატაცებისათვის, ან რომელმაც წინათ ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება, გათვალისწინებული ამ კოდექსის 78-ე, 91-94-ე, 96-ე, 96<sup>1</sup>, 150-153-ე, 240-ე, 2521 მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით სამასიდან ხუთას მანეთამდე“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 169<sup>2</sup> და 169<sup>3</sup> მუხლები:

„მუხლი 169<sup>2</sup>. მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ცხრუშების შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრეცელოს მიღება

საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის იმ მუშავის მიერ, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, მოქალაქისაგან გამოძალვის გზით უკანონო გასამრეცელოს მიღება სამუშაოს შესრულებისათვის ან ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სატრანსპორტო ან მოსახლეობის მომსახურების სხვა სფეროში გაწეული მომსახურებისათვის, რომელიც ასეთი მუშავის სამსახურებრივ მოვალეობას განეკუთვნება,—

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჭარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი არგერთგზის ან დიდი რდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჭარიმით ხუთას მანეთამდე.

**მუხლი 169<sup>3</sup>.** ვაჭრობის წესების დარღვევა

სავაჭრო საწარმოების (ორგანიზაციების) ან საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნავებობებიდან საქონლის გაყიდვა ან მყიდველისათვის საქონლის დამალვა, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე სავაჭრო საწარმოებში (ორგანიზაციებში) და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში (ორგანიზაციებში) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან ვარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ, ანდა ჭარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჭარიმით ხუთას მანეთამდე“.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 402-ე მუხლის „პირველ ნაწილში სიტყვები „95-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „95-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“.

საქართველოს სსრ უმაღლეხი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაზილი.

საქართველოს სსრ უმაღლეხი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაზვილი. თბილისი. 1981 წლის 11 ნოემბერი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**285** საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169<sup>2</sup> მუხლის გამოყენების ზესის ზესახებ

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ სა-

ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განიმარტოს, რომ უკანონო გასამრჩელოს მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში შეიძლება მიეცეს პირი, რომელიც მუშაობს მოსახლეობის მომსახურების სფეროში (მაღაზიაში, საზოგადოებრივი კვების საწარმოში, ატელიეში, სახელოსნოში, სამედიცინო დაწესებულებაში, საბილეთო სალაროში, სასტუმროში და ა. შ.), რომელმაც გამოძალვის გზით მოქალაქისაგან მიიღო უკანონო გასამრჩელო გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის, კონკრეტული მომსახურების გაწევისათვის ან სხვა მოქმედებისათვის, რომელიც ამ პირის სამსახურებრივ მოვალეობას განეკუთვნება (საქონლის, რეინიგზისა და საავიაციო ბილეთების გაყიდვა, ტანსაცმლის შეკერვა ან შეკეთება, სამედიცინო დამარაბის გაწევა და ა. შ.).

ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, როდის იქნა მიღებული უკანონო გასამრჩელო — მოქალაქისათვის სასურველი მოქმედების შესრულებამდე თუ შესრულების შემდეგ.

2. უკანონო გასამრჩელოს გამოძალვად იგულისხმება მოსახლეობის მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშაის არა მხოლოდ პირდაპირ გამოქვლავნებული მოთხოვნა მოქალაქის მიერ გარკვეული გასამრჩელოს გადახდისა გარკვეული სამუშაოს ან კონკრეტული მომსახურების გაწევისათვის, რომელიც ამ მუშაის სამსახურებრივ მოვალეობას განეკუთვნება, არამედ მოქალაქისათვის ისეთი მდგომარეობის შეგნებულად შექმნა, რომლის გამოციგი იძულებულია გადაიხადოს უკანონო გასამრჩელო, რათა აიცილოს მისი კანონიერი ინტერესებისათვის მავნე შედეგები.

3. უკანონო გასამრჩელოდ იგულისხმება ქონებრივი ხასიათის სარგებელი (ფული, სამრეწველო და სასურსათო საქონელი და ა. შ.).

4. უკანონო გასამრჩელოს არაერთგზის მიღებად იგულისხმება ასეთი მოქმედების ჩადენა ოჯერ მაინც, თუ ამასთანავე არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები, ან უკანონო გასამრჩელოს მიღება ერთდროულად ორი ან მეტი მოქალაქისაგან, ან უკანონო გასამრჩელოს მიღება პირის მიერ, რომელიც ადრე იყო ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან არ არის გაქარწყლებული კანონით დადგენილი წესით.

5. მიღებული უკანონო გასამრჩელოს ოდენობა დიდად ჩაითვლება, თუ იგი აღემატება ორას მანეთს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ଶୈରପାନ୍ତିକଶୁଲ୍ଲାଙ୍ଗ ହରା ପରିଶାରଟିକେବୋଲ୍ଲମ୍ବ ପାଇଁ ଶରୀରରେ ଶରୀରରେ ପରିଶାରଟିକେବୋଲ୍ଲମ୍ବ ପାଇଁ

**286** საქართველოს ს რესპუბლიკური რელიგიურ განრითიანებათა უსახებ დებულებები ცვლილებებისა და დაგატეზების შეტანის თაობაზე

საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულების სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციისთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულებაში“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 3, მუხ. 26) შემდეგი ცვლილებები და დამტკიცება:

1. მუხლი პირველი, მე-2 და მე-4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაციებით:

„1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდი-სის თავისუფლება, ანუ უფლება — ოლიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არავითარს, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეიისტურ პროპაგანდას. შეუძლისა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით იყრძალულია.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსა-  
გან და სკოლა — ეკლესიისაგან.

„სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის „შესახებ“ საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტის მოქმედება ვრცელდება ეკლესიებზე, რელიგიურ ჯგუფებზე, განშტრიებებზე, რელიგიურ მიძღვნარეობებსა და ყველა დასახელების სხვა საკულტო გარემონტებზე.

2. საქართველოს სსრ მოქალაქენი თანასწორი არიან კანონის წინაშე რელიგიისადმი დამოკიდებულების მიუხედავად.

უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალა-  
ქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან. არავის არ შეუძლია თავის  
რელიგიურ შეხედულებათა გმირ თავი აარიდოს მოქალაქეობრივ მოვალეო-  
ბათა შესრულებას“.

„4. ყველა კულტის მორწმუნე მოქალაქეთა რელიგიური გაერთიანებანი რეგისტრაციაში ტარდება რელიგიური საზოგადოებების ან მორწმუნეთა ჯუფების სახით და შეუძლიათ შეუდგნენ თავიანთ საქმიანობას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას გაერთიანებათა რეგისტრაციის შესახებ.

თითოეულ მოქალაქეს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი რელიგიური გვერ-  
თიანების (საზოგადოების ან ჯგუფის) წევრი“.

2. მე-5-მე-7, მე-10, მე-12, 22-ე, 24-26-ე, 29-32-ე, 34-ე, 36-ე-მე-40,  
42-ე, 45-ე, 46-ე, 50-ე, 52-ე და 54-56-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა  
დეპუტატების საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა საბჭო“.

3. მე-12 მუხლში სიტყვა „კომიტეტის ნებართვით“ შეიცვალოს სიტყვე-  
ბით „კომიტეტისათვის წინასწარი შეტყობინებით“.

4. მე-14 მუხლს სიტყვების „ცალკეულ წევრებს“ შემდეგ დამატოს სიტ-  
ყვები „სათანადო მოტივების აღნიშვნით“.

5. 27-ე მუხლში სიტყვები „ისტორიული, მხატვრული და არქეოლოგიუ-  
რი მნიშვნელობის მქონე“ შეიცვალოს სიტყვებით „ისტორიული, მხატვრული  
ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე“.

6. 35-ე მუხლის „ბ“ პუნქტში სიტყვები „ისტორიული, მხატვრული, სა-  
მუზეუმო ღირებულების ყველა საგანი“ შეიცვალოს სიტყვებით „ისტორიული,  
მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე საგნები“.

7. 41-ე მუხლში სიტყვები „ისტორიული, მხატვრული ან არქეოლოგიური  
მნიშვნელობის მქონე“ შეიცვალოს სიტყვებით „ისტორიული, მხატვრული ან  
სხვა კულტურული ღირებულების მქონე“.

8. 51-ე მუხლში სიტყვები „სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომპერაცი-  
ულ დაწესებულებასა და საწარმოში“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო  
საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სხვა კომპერაციულ და  
სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაზვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 30 ნოემბერი.